

## მუხლი 79. მუსიკის სტანდარტი

### მუსიკა დაწყებით საფეხურზე

#### შესავალი

**დაწყებით საფეხურზე** განსაკუთრებით დიდია მუსიკის, როგორც საგნის მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც ბავშვის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები ჯერ ბოლომდე არ გამოვლენილა და მათ გახსნა, წარმართვა სჭირდება. ამ ასაკში ბავშვს უჭირს მუსიკის აბსტრაქტული სახეების აღქმა და ორიენტირებისთვის მუსიკის აღსაქმელად მას ნაცნობი ხილული ანალოგიები სჭირდება. ამის განხორციელება შესაძლებელია მოსწავლისთვის ნაცნობი აქტივობებით - სიმღერა, ცეკვა, იმპროვიზაცია, თამაში, დაკვირვება და ა. შ., რომლებიც გარემოში არსებული ხილული სახეების მუსიკაში ამოცნობას ისახავს მიზნად. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას.

#### მიმართულებების აღწერა

მუსიკის სწავლება ორი მიმართულებით იშლება:

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია.

სწავლება ორივე მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

#### 1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა

ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარესამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება პრაქტიკული უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მღერის, უკრავს, ცდილობს შექმნას მუსიკა - მარტივი მელოდიურ-რიტმული კომპოზიციები. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც - ცეკვავს, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს, ხატავს, თხზავს ტექსტს.

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეს უვითარდება მუსიკალური სმენა და მეხსიერება, რიტმის გრძნობა, რასაც ხელს უწყობს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. მეოთხე კლასიდან ამას ემატება იმპროვიზაციული ელემენტები, რითიც შემოქმედებით საწყისი მეტი დატვირთვა ენიჭება. მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს - განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს, იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წამოწყებულ მელოდიას და ა. შ.. მოსწავლე სწავლობს სიმღერას, ასევე სწავლობს მუსიკალურ დამწერლობას - ამოიცნობს, ჩაწერს და იყენებს ნასწავლ ნიშნებს.

შემოქმედებითი აქტივობების დროს - სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, პრეზენტაცია, სცენის გათამაშება - მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც მოსწავლე პერსონალურადაა პასუხისმგებელი საკუთარ გამოსვლაზე ან ჯგუფური. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის დროს მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით თანამშრომლობაში, რომლის დროს საკუთარი ემოცია, თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია საერთო ხედვას უნდა შეუთანხმოს. მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა თანაგუნდელების მიმართ, ყალიბდება კოლექტივის წევრად და არ არღვევს გუნდის (სიმღერა, ცეკვა, ფერხული, სცენის გათამაშება) მთლიანობას.

ამავე მიმართულების ფარგლებში სასურველია მოსწავლე იყენებდეს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ისტ-ს) - აკეთებდეს აუდიო ჩანაწერს; აუდიო და ვიდეო ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებდეს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობას; აუღერებდეს ხმას, მუსიკალურ საკრავს ელექტრონულ გარემოში; შეარჩევდეს გამომსახველობით ხერხებს და ფონს მელოდიისთვის; იყენებდეს ჩაწერილ ხმას იმპროვიზაციის პროცესში.

## **2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია**

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ეჩვევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას - მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, წიგნიერი ენით და ქცევის ნორმების დაცვით.

კამათისა და მსჯელობის დროს მოსწავლე აცნობიერებს, რომ მუსიკა ყველა დროისა და ხალხის კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეცნობა და პარალელს ავლებს ეროვნულ და მსოფლიო ხალხთა მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ქართულ ხალხურ საკრავებს აკავშირებს სხვა ერების ხალხურ საკრავებთან. მოსწავლე განასხვავებს ქართულ და მსოფლიო ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს.

### ***I-IV კლასების სტანდარტი***

#### **ა) IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები**

#### **ინდექსების განმარტება**

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.,

#### **მუს.დაწყ.(I).1.:**

„მუს.“ - მიუთითებს მუსიკის საგანს;

„დაწყ.“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ - მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტი (I-IV კლასები)	
შედეგების ინდექსი	1. მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა
	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).1.	გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს.დაწყ.(I).2.	ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა;
მუს.დაწყ.(I).3.	ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.
	2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).4.	მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;
მუს.დაწყ.(I).5.	ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;
მუს.დაწყ.(I).6.	ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.

## ბ) შინაარსი

### ცნებითი კატეგორიების ჩარჩო და სასწავლო თემები

მუსიკის საგანი ხმოვანი გზავნილის შინაარსის ამოკითხვას მუსიკალურ-გამომსახველობით ელემენტებსა და გარესამყაროში არსებულ სახეებს შორის ასოციაციური კავშირების საშუალებით შეასწავლის. საგნის სწავლება შემდეგი ცნებითი კატეგორიებითა და თემებით წარმართება:

### ცნებები და ტერმინები:

საგნის სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარმართოს შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:

1. მუსიკალური ენის ძირითადი ელემენტები: რიტმი, მელოდია;
2. მუსიკალური ენის არამირითადი ელემენტები: ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, ფაქტურა;
3. მეტრი: ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი;
4. ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები;
5. ბგერის თვისებები: სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, ტემბრი;
6. მელოდიის შემადგენელი ნაწილები: ინტონაცია, მოტივი;
7. საკომპოზიციო ხერხები: რიტმული და მელოდიური ოსტინატო, რიტმული და მელოდიური მონაცვლეობა, კონტრაპუნქტი, მუსიკალური კოლაჟი;

**8. მუსიკალური დამწერლობა:**

ტრადიციული: ხუთხაზიანი სანოტო სისტემა;

არატრადიციული: შტრიხები, ხაზები, პიქტოგრამები;

**9. ხალხური მუსიკის სხვადასხვა ჟანრი: საცეკვაო, სარიტუალო სიმღერები.**

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე სასურველია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

**სავალდებულო თემები I-IV კლასებისთვის:**

**გარესამყარო მუსიკაში**

1. ხმების მრავალფეროვნება (I კლასი);
2. ცხოველები მუსიკაში (II კლასი);
3. ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში (II კლასი);
4. ქალაქის/სოფლის ხმები (III კლასი);
5. მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში (III კლასი);
6. მუსიკა და ტელევიზია (IV კლასი).

**მუსიკა და ჩვენი ყოფა**

1. ყოფითი საგნები მუსიკაში (I კლასი);
2. თამაშები მუსიკაში (I კლასი);
3. წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ (II კლასი);
4. ჩემი ცხოვრების ერთი დღე (III კლასი);
5. მუსიკა და თავისუფალი დრო (IV კლასი).

**ეთნოგრაფია და მუსიკა**

1. გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში (I კლასი);
2. სხვადასხვა ხალხის დღესასწაულების მუსიკა (II კლასი);
3. სხვადასხვა ხალხის გართობის ფორმები და მუსიკა (III კლასი);
4. სხვადასხვა ხალხის რიტუალები და მუსიკა (IV კლასი).

**მუსიკა და კინო**

1. მუსიკის როლი ანიმაციაში და საყმაწვილო კინოში (IV კლასი).

**თემები კლასების მიხედვით (I-IV კლასები)**

**I კლასი**

თემა	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები: <i>გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) მუსიკის საგნის ორი ან მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს.</i>	ცნებები
<b>გარესამყარო მუსიკაში</b>		

<p><b>ხმების მრავალფეროვნება</b></p>	<p>როგორ გამოვიყენოთ სხვადასხვა ხმა რაიმე განწყობის ან სახე-ხატის შესაქმნელად? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2;</b></p> <p>როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხმის გამოცემა ან ხმაურის შექმნა სხვადასხვა საშუალებით? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2.;</b></p> <p>როგორ შეიძლება ჩაიწეროს ესა თუ ის ხმა? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b></p> <p>როგორ დავაჯგუფოთ ხმები და ხმაური სხვადასხვა ნიშნის მიხედვით? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ შეუძლია ამა თუ იმ ხმას რაიმე ემოციის გამოწვევა? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6.</b></p> <p>როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში ან პროფესიულ მუსიკაში? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6.</b></p>	<p>ინსტრუმენტი, ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები, ხმაური, განწყობა.</p>
<p><b>მუსიკა და ჩვენი ყოფა</b></p>		
<p><b>ყოფითი საგნები მუსიკაში</b></p>	<p>როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ბგერის თვისებები საგნის თვისებებს (რა ასოციაციური კავშირის გაბმა შეიძლება ბგერისა და საგნის თვისებებს შორის)? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის მუსიკაში ყოფითი საგნები? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ შეიძლება გადმოვცეთ ბგერის თვისებებითა და მოკლე მოტივებით სხვადასხვა საგნის თვისებები? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2;</b></p> <p>როგორ გამოვსახოთ ესა თუ ის ბგერა? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b></p>	<p>ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, მოტივი.</p>
<p><b>თამაშები მუსიკაში</b></p>	<p>რა მუსიკალური ელემენტებით შეიძლება გადმოვცეთ თამაშების ნაირსახეობები? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>რა მოძრაობებთან ასოცირდება მოტივი, ტემპი და რიტმი? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ აისახება სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებში ბავშვების თამაშები? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორი მოტივი, ტემპი და რიტმი უნდა შეირჩეს გარკვეული მოძრაობის და ამ მოძრაობებთან დაკავშირებული ემოცია-განწყობის გადმოსაცემად? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2;</b></p> <p>რა ნიშნებით ჩავწეროთ ეს მოტივები? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b></p>	<p>მოტივი, რიტმი, ტემპი, ტემპის მონაცვლეობა, მოტივის მონაცვლეობა, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური კომპოზიცია</p>
<p><b>ეთნოგრაფია და მუსიკა</b></p>		
<p><b>გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის</b></p>	<p>როგორ აისახება გარესამყარო ამა თუ იმ ხალხურ სიმღერაში? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p>	<p>ხმაბამკვითი სიტყვები</p>

ხალხურ მუსიკაში		
-----------------	--	--

## II კლასი

თემა	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები: გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) მუსიკის საგნის ორი ან მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს.	ცნებები
<b>გარესამყარო მუსიკაში</b>		
ცხოველები მუსიკაში	<p>რა ხერხებით შეუძლია მუსიკას ცხოველის გარეგნობა, ხმა ან ქცევა აღწეროს? მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</p> <p>როგორ ახასიათებენ სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში? მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</p> <p>როგორ გამოვიყენოთ მოტივი, რიტმი, ტემპი, ცხოველის გარეგნობის, ხმის ან ქცევის მუსიკალური აღწერის დროს? მუს.დაწყ.(I).1, 2;</p> <p>რა სიმბოლოებით შეიძლება ცხოველის ხმის ან მოძრაობის ამსახველი ინტონაციის ან მოტივის აღნიშვნა? მუს.დაწყ.(I).3.;</p>	მოტივი, ინტონაცია, მელოდია, რიტმული ფიგურაცია, ტემპი, რეგისტრი
ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში	<p>როგორ გადმოიცემა სხვადასხვა მუსიკალური ინტონაციით, რიტმითა და ტემპით ბუნების მოვლენები? მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</p> <p>როგორ გამოვიყენოთ მუსიკალური ინტონაციები, რიტმი და ტემპი ბუნების მოვლენების გადმოსაცემად? მუს.დაწყ.(I).1, 2;</p> <p>როგორ ჩავწეროთ ბუნების ამსახველი ინტონაციები და რიტმი? მუს.დაწყ.(I).3.</p>	გამომსახველობი თი ინტონაციები, ტემპი, რიტმი.
<b>მუსიკა და ჩვენი ყოფა</b>		

<p><b>წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ</b></p>	<p>როგორ იქმნება სადღესასწაულო განწყობა მელოდიის, რიტმისა და ტემპის მეშვეობით? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ გადმოიცემა მუსიკალურ ინტონაციაში მეტყველების მანერა, ქცევის სტილი, ჟესტი, რომელიც წვეულების, დღესასწაულის დროს წარმოქმნილ ემოციებს გამოხატავს? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>რა საერთო მუსიკალური ინტონაციებია სხვადასხვა ქვეყნის სადღესასწაულო ხალხურ სიმღერებში ან ცეკვებში? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ შევარჩიოთ მელოდიის ინტონაციები, რიტმი და ტემპი, რომლებიც გარკვეულ სადღესასწაულო განწყობას შეგვიქმნის? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2;</b></p> <p>რა სიმბოლოებით შეიძლება აღვნიშნოთ ინტონაცია მეტყველების დროს? <b>მუს.დაწყ.(I).3;</b></p> <p>რა სიმბოლოებით შეიძლება აღვნიშნოთ მელოდიის მოძრაობა? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b></p>	<p>რიტმი, ტემპი, მუსიკალური ინტონაცია; ინტონაცია, როგორც წარმოქმნის მანერა; მელოდია; აკომპანემენტი.</p>
<p><b>ეთნოგრაფია და მუსიკა</b></p>		
<p><b>სხვადასხვა ხალხის დღესასწაულების მუსიკა</b></p>	<p>რა როლი ენიჭება მუსიკას სხვადასხვა ხალხის დღესასწაულებში? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ გადმოიცემა ხალხურ მუსიკაში სხვადასხვა დღესასწაულის განწყობა? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6.</b></p>	<p>კალანდობა, მოსავლის აღების სიმღერები</p>

**III კლასი**

<p><b>თემა</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:</b> <i>გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) მუსიკის საგნის ორი ან მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს.</i></p>	<p><b>ცნებები</b></p>
<p><b>გარესამყარო მუსიკაში</b></p>		
<p><b>ქალაქის/სოფლის ხმები</b></p>	<p>როგორ ვითარდება მუსიკალური აზრი სხვადასხვა ხმაურის, მოქმედების გადმომცემი მუსიკალური ინტონაციების, რიტმისა და ტემპის მონაცვლეობით (მაგ.: მელოდიის განვითარება სხვადასხვა ინტონაციის, რიტმისა და ტემპის მონაცვლეობის გზით)? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ შევქმნათ კოლაჟი ქალაქის სხვადასხვა ხმის, მუსიკალური ინტონაციის, რიტმისა და ტემპის მეშვეობით? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2;</b></p> <p>რა სიმბოლოებით შეიძლება ჩაიწეროს მუსიკალური კოლაჟი, რომელიც ქალაქის ხმაურს გადმოსცემს? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b></p>	<p>რიტმის, ტემპის, მუსიკალური ინტონაციების კონტრასტები; მუსიკალური ინტონაციების, რიტმებისა და ტემპებისგან შედგენილი კოლაჟი</p>

<p><b>მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში</b></p>	<p>რა ხერხებით შეუძლია მუსიკას მოგვითხროს გასეირნების დროს მიღებული სხვადასხვა გამოცდილების შესახებ (მუსიკალური განვითარების უმარტივესი პრინციპები)? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ გამოვიყენოთ მელოდიური და რიტმული ოსტინატო ქალაქში მოგზაურობის შესახებ მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2;</b></p> <p>როგორ ჩავწეროთ მუსიკალური კომპოზიცია? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b></p>	<p>რიტმული და მელოდიური ოსტინატო; კონტრაპუნქტი</p>
<p><b>მუსიკა და ჩვენი ყოფა</b></p>		
<p><b>ჩემი ცხოვრების ერთი დღე</b></p>	<p>როგორ შეიძლება მუსიკალური ინტონაციებით რაიმე მოქმედების დამახასიათებელი განწყობის გადმოცემა? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ უნდა შეირჩეს მუსიკალური თანხლება, რომელიც გარკვეულ მოქმედებას რაიმე განწყობას შეუქმნის? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2;</b></p> <p>როგორ შეიძლება სხვადასხვა ხმით და მუსიკალური მასალით შეიქმნას კოლაჟი, რომელშიც რაიმე საქმიანობა/მოქმედება და მისგან გამოწვეული განწყობა იქნება გადმოცემული? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b></p>	<p>რიტმული და მელოდიური ოსტინატო; სხვადასხვა ემოციის გადმოცემი ინტონაციები მელოდიაში; მოტივი, ტემპის მონაცვლეობა, მოტივების მონაცვლეობა, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური კომპოზიცია.</p>
<p><b>ეთნოგრაფია მუსიკაში</b></p>		
<p><b>სხვადასხვა ხალხის გართობის ფორმები და მუსიკა</b></p>	<p>როგორ აისახება გართობის სხვადასხვა ფორმა ხალხურ მუსიკაში? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p>	<p>საჭიდაო, საცეკვაო სიმღერები</p>

**IV კლასი**

<p><b>თემა</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:</b> <i>გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) მუსიკის საგნის ორი ან მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს.</i></p>	<p><b>ცნებები</b></p>
<p><b>გარესამყარო მუსიკაში</b></p>		
<p><b>მუსიკა და ტელევიზია</b></p>	<p>როგორ მოქმედებს მუსიკა ტელემყურებლის ემოციაზე? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ უნდა შევარჩიოთ მუსიკა ტელეპროგრამისთვის? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2;</b></p>	<p>მუსიკალური ფრაზა, ხმის ეფექტები, ტემბრი, მუსიკალური ფაქტურა</p>



	როგორ შეიძლება ჩაიწეროს გადაცემის ქული? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b>	
<b>მუსიკა და ჩვენი ყოფა</b>		
<b>მუსიკა და თავისუფალი დრო</b>	<p>როგორ შეუძლია მელოდიურ მოძრაობას, რიტმულ ფიგურაციებს და კილოს აქტიური ან პასიური დასვენებისთვის განწყობის შექმნა? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ შეიძლება მელოდიის მოძრაობისა და რიტმული ფიგურაციების სხვადასხვა მეტრით ორგანიზება, რათა შევძლოთ აქტიური ან პასიური დასვენებისთვის მუსიკალური ფონის შექმნა? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2;</b></p> <p>რა სიმბოლოებით შეიძლება აღინიშნოს მეტრით ორგანიზებული რიტმული ფიგურაციები? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b></p>	<p>მელოდიის მწყობრი ან ნახტომებით მოძრაობა, ინტერვალი, რიტმული ფიგურაციები</p> <p>მელოდიური და რიტმული ფიგურაციების თანმიმდევრობა, ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი მეტრი.</p>
<b>მუსიკა და კინო</b>		
<b>მუსიკის როლი ანიმაციაში და საყმაწვილო კინოში</b>	<p>როგორ იქმნება მუსიკის დახმარებით მხატვრული სახე ანიმაციაში? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ იქმნება მხატვრული სახეები საყმაწვილო კინოში? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>რა გამომსახველობითი ხერხები გამოვიყენოთ ანიმაციური ფილმის მოკლე ეპიზოდისთვის მუსიკალური თანხლების შესაქმნელად? <b>მუს.დაწყ.(I).1, 2.</b></p> <p>რა სიმბოლოებით შეიძლება ჩაიწეროს მუსიკალური თანხლება? <b>მუს.დაწყ.(I).3.</b></p>	<p>მუსიკალური თემა, მუსიკალური ეფექტები, მუსიკალური დახასიათება, ტემბრი, ლაიტმოტივი, რეგისტრი</p>
<b>ეთნოგრაფია და მუსიკა</b>		
<b>სხვადასხვა ხალხის რიტუალები და მუსიკა</b>	<p>როგორ აისახება სხვადასხვა ხალხის საცეკვაო მუსიკაში მათ კულტურაში არსებული რიტუალები? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p> <p>როგორ შეუძლია მუსიკას რაიმე ქმედებას, მოვლენას გარკვეული შინაარსი შესძინოს? <b>მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;</b></p>	<p>მაცრული, სვანური ლილე, ზარი; საფერხულო სიმღერები. ინდური რაგა, იაპონური ბუგაკუ,</p>

		შოტლანდიური ჰაილენდ- ცეკვები; მაორის ჰაკა.
--	--	---

### V-VI კლასების სტანდარტი

#### ა) VI კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., მუს.დაწყ.(II).1.:

„მუს.“ - მიუთითებს მუსიკის საგანს;

„დაწყ.“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(II)“ - მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს V-VI კლასებს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტი (V-VI კლასები)	
შედეგების ინდექსი	1. მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა
	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(II).1.	საიმიჯო მუსიკალური კომპოზიციის (რეკლამის, მუსიკალური ლოგოტიპის) შექმნა;
მუს.დაწყ.(II).2.	ბგერის, ხმის, ხმაურის, მღერისა და მარტივი მუსიკალური გამომსახველობითი ხერხების მეშვეობით რეალური და წარმოსახვითი სამყაროს ასახვა;
მუს.დაწყ.(II).3.	ხმოვანი გზავნილის ჩასაწერად ტრადიციული სანოტო ან არატრადიციული სიმბოლოების სისტემების გამოყენება.
	2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(II).4.	ხმოვანი გზავნილის ემოციურ-შინაარსობრივი დატვირთვის შეგრძნება და რეალურ თუ წარმოსახვით სამყაროსთან ასოციაციურ კავშირების გაზმა;
მუს.დაწყ.(II).5.	დრამისა და მუსიკის ელემენტების ურთიერთკავშირების ამოცნობა;
მუს.დაწყ.(II).6.	ტრადიციული თუ არატრადიციული სიმბოლოების სისტემებით ჩაწერილი ხმოვანი გზავნილის ამოცნობა;
მუს.დაწყ.(II).7.	საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური შემოქმედებისთვის დამახასიათებელი მუსიკალური ენის ელემენტების განსხვავება.

#### ბ) შინაარსი

##### ცნებები და ტერმინები:

1. მუსიკალური ენის ძირითადი ელემენტები:

რიტმი: სხვადასხვა რიტმული ფიგურაცია

მელოდია: ინტონაცია, მოტივი;

ჰარმონია: დისონანსი, კონსონანსი;

კილო: მყარი და მერყევი საფეხურები, მაჟორი, მინორი ქრომატიზმი, ალტერაციის ნიშნები;

2. მუსიკალური ენის არამირითადი ელემენტები: ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, ფაქტურა;

3. მეტრი: ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი;

4. ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები;

5. ბგერის თვისებები: სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა;

6. საკომპოზიციო ხერხები: რიტმული და მელოდიური ოსტინატო, რიტმული და მელოდიური მონაცვლეობა, კონტრაპუნქტი, ტრეკერი, ლუპი, პატერნი;

7. მუსიკალური ფორმები: ვარიაცია, მუსიკალური კოლაჟი;

8. მუსიკალური ფორმის ელემენტები: ლაიტმოტივი (პერსონაჟის, მოვლენის თემა), კულმინაციური თემა;

9. მუსიკის ფუნქციები დრამასა და კინოში: მუსიკალური ფონი (ილუსტრაციული, ასოციაციური, პირობითი, კონტრასტული)

10. მუსიკალური დამწერლობა:

ტრადიციული: ხუთხაზიანი სანოტო სისტემა;

არატრადიციული: შტრიხები, ხაზები, პიქტოგრამები;

11. ხმების ტიპები:

ქალის ხმა: კოლორატურული-სოპრანო; სოპრანო; მეცო-სოპრანო; კონტრალტო  
კაცის ხმა: ტენორი, ბარიტონი, ბანი.

12. საოპერო ჟანრის ელემენტები: არია, მუსიკალური ანტრაქტი, რეჩიტატივი;

13. მუსიკალური შტრიხები: glissando, legato, staccato, ვიბრატო;

14. ხალხური მუსიკის სხვადასხვა ჟანრი: საცეკვაო, სარიტუალო სიმღერები.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე სასურველია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

## სავალდებულო თემები V-VI კლასებისთვის

### რეალური და წარმოსახვითი სამყარო მუსიკაში

1. ზღაპრული სამყარო მუსიკაში (V კლასი);

2. რეალობა და ჩვენი წარმოდგენები (VI კლასი).

### მუსიკა და ჩვენი ყოფა

1. მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები (V კლასი);

2. ადამიანის პორტრეტი მუსიკაში (VI კლასი).

### მუსიკა და კინო

1. მუსიკის როლი მუნჯ კინოში (V კლასი);

2. მუსიკის როლი ხმოვან კინოში (VI კლასი).

### მუსიკა და თეატრი

1. მუსიკა დრამატულ თეატრში (V კლასი);

2. მუსიკა პანტომიმის თეატრში (V კლასი);
3. მუსიკალური თეატრი: ოპერა, მიუზიკლი (VI კლასი).
4. მუსიკა საბალეტო სპექტაკლში (VI კლასი).

**ეთნოგრაფია და მუსიკა**

1. სხვადასხვა ქვეყნის ინსტრუმენტები (V კლასი);
2. ნაციონალური ელემენტები პროფესიულ მუსიკაში (VI კლასი).

**თემები კლასების მიხედვით (V-VI კლასები)**

**V კლასი**

თემა	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები: გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) მუსიკის საგნის ორი ან მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს.	ცნებები
<b>რეალური და წარმოსახვითი მუსიკაში</b>		
<b>ზღაპრული სამყარო მუსიკაში</b>	როგორ იქმნება ზღაპრული სახეები მუსიკაში? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b>  როგორ იყენებენ კილოს არამყარ საფეხურებს მუსიკაში ზღაპრული სახეების გადმოსაცემად? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2, ;</b>  როგორ ჩავწერთ მუსიკალური მელოდია, რომელიც ქრომატულ სვლაზეა აგებული? <b>მუს.დაწყ.(II).3.</b>	ქრომატიზმი, მყარი და არამყარი საფეხურები, დისონანსი, ინტონაცია, მაჟორული და მინორული კილო, ალტერაციის ნიშნები (დიეზი, ბემოლი, ბეკარი)
<b>მუსიკა და ჩვენი ყოფა</b>		
<b>მუსიკა და თანამედროვე ტექნოლოგიები</b>	რა მნიშვნელობა ენიჭება მუსიკალურ თანხლებას კომპიუტერულ პროგრამებში? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b>  როგორ შევადგინოთ ტრეკერი რომელიმე კომპიუტერული თამაშისთვის? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2;</b>  როგორ ჩავწერთ და დავიმასხვროთ ტრეკერი? <b>მუს.დაწყ.(II).3.</b>	ტრეკერი, ლუპი, ეფექტი, პატერნი გლისანდო, პორტამენტო, სტაკატო, ვიბრატო,
<b>მუსიკა და კინო</b>		

<p><b>მუსიკის როლი მუნჯ კინოში</b></p>	<p>რა როლი ენიჭება მუსიკალურ თანხლებას მუნჯ კინოში? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b></p> <p>როგორ შევადგინოთ მუსიკალური თანხლება მუნჯი კინოს ეპიზოდისთვის? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2;</b></p> <p>როგორ ჩავწეროთ მუსიკალური თანხლება? <b>მუს.დაწყ.(II).3.</b></p>	<p>მთავარი თემა, პერსონაჟის თემა, კულმინაციური თემა,</p> <p>ქრონომეტრაჟი, მუსიკალური ფონი, მუსიკალური კულმინაცია, ვარიაცია</p>
<p><b>მუსიკა და თეატრი</b></p>		
<p><b>მუსიკა დრამატულ თეატრში</b></p>	<p>როგორ ჩანს სპექტაკლის მუსიკაში რეჟისორის ჩანაფიქრი? <b>მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7;</b></p> <p>რა პრინციპით შევურჩიოთ სპექტაკლს მუსიკალური თანხლება? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2;</b></p> <p>რა სიმბოლოებით აღვნიშნოთ თანხლება? <b>მუს.დაწყ.(II).3.</b></p>	<p>სიუჟეტური და პირობითი მუსიკა კონტრასტული, ილუსტრაციული და ასოციაციური მუსიკალური ფონი, რიტმი, ტემპი</p>
<p><b>მუსიკა პანტომიმის თეატრში</b></p>	<p>როგორ უკავშირდება ერთმანეთს ჟესტი და მუსიკა პანტომიმში? <b>მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7;</b></p> <p>როგორ შევურჩიოთ მიმიკურ ეტიუდს მუსიკალური თანხლება, რომელიც მაყურებელს დაეხმარება იმის დანახვაში, რაც არ ჩანს? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2;</b></p> <p>როგორ შეიძლება ჩაიწეროს მიმიკური ეტიუდის მუსიკალური თანხლება? <b>მუს.დაწყ.(II).3.</b></p>	<p>მეტყველი ჟესტი და მუსიკალური ინტონაცია კონტრასტული, ილუსტრაციული და ასოციაციური მუსიკალური ფონი, რიტმი, ტემპი</p>
<p><b>ეთნოგრაფია და მუსიკა</b></p>		
<p><b>სხვადასხვა ქვეყნის ინსტრუმენტები</b></p>	<p>რა ხასიათს სძენს ინსტრუმენტები ხალხურ მუსიკას? <b>მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7;</b></p> <p>როგორ შეიძლება გამოიყენოს კომპოზიტორმა სხვადასხვა ხალხის მუსიკალური ინსტრუმენტი? <b>მუს.დაწყ.(II). 4,5,6,7;</b></p>	<p>ჩონგური, ფანდური, ჭუნირი, ბანჯო, ესპანური გიტარა, მარაკასი.</p>

**VI კლასი**

<p><b>თემა</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:</b> <i>გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) მუსიკის საგნის ორი ან მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს.</i></p>	<p><b>ცნებები</b></p>
<p><b>რეალური და წარმოსახვითი მუსიკაში</b></p>		

რეალობა და ჩვენი წარმოდგენები	<p>როგორ იყენებენ რეკლამაში მუსიკას ჩვენს ცნობიერებაზე გავლენის მოსახდენად? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b></p> <p>როგორ შეიძლება მელოდიის ჰარმონიზებით მუსიკაში რეალური თუ არარეალური მხატვრული სახის შექმნა? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2;</b></p> <p>როგორ შეიძლება ჰარმონიზება ჩაიწეროს? <b>მუს.დაწყ.(II).3.</b></p>	მელოდია, ჰარმონია.
<b>მუსიკა და ჩვენი ყოფა</b>		
ადამიანის პორტრეტი მუსიკაში	<p>როგორ შეუძლია მუსიკას გადმოსცეს ადამიანის ხასიათი? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b></p> <p>როგორ შეიძლება მუსიკის გამომსახველობითი ხერხების გამოყენება ადამიანის ხასიათის გადმოსაცემად? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2;</b></p> <p>როგორ შეიძლება მუსიკალური პორტრეტის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა? <b>მუს.დაწყ.(II).3.</b></p>	მელოდია, ჰარმონია, რიტმი, კილო(მინორული, მაჟორული)
<b>მუსიკა და კინო</b>		
მუსიკის როლი ხმოვან კინოში	<p>რა ფუნქციებს ასრულებს მუსიკა ხმოვან კინოში? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b></p> <p>როგორ შეიძლება კინომუსიკის გამომსახველობითი ხერხების გამოყენება პერსონაჟების შინაგანი განცდების გადმოსაცემად? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2.</b></p>	კონტრასტული მუსიკალური თემები, რიტმული კონტრასტი
<b>მუსიკა და თეატრი</b>		
მუსიკალური თეატრი; ოპერა და მიუზიკლი	<p>როგორ გადმოიცემა ოპერაში (როკ ოპერაში), მიუზიკლში ამბის მთავარი იდეა და მასში მოქმედი პერსონაჟების ხასიათი? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b></p> <p>როგორ გადმოვცეთ რეჟიტატივში პერსონაჟის ხასიათი? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2.</b></p>	სასიმღერო ხმების ტიპები, საოპერო სპექტაკლის ელემენტები, საორკესტრო პარტია, ინსტრუმენტალური ანტრაქტი, არია, მუსიკალური ნომერი, რეჟიტატივი, ინსტრუმენტალური თანხლება.
მუსიკა საბალეტო სპექტაკლში	<p>როგორ იქმნება ბალეტში ცეკვისა და მუსიკის მეშვეობით მხატვრული სახე? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b></p> <p>როგორია მუსიკის გამომსახველობითი ხერხების როლი ბალეტში? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b></p>	მეტყველი შესტი და მუსიკალური ინტონაცია

	როგორ კარნახობს პლასტიკა მუსიკალური თანხლების არჩევანში და, პირიქით, როგორ ახდენს მუსიკა პლასტიკაზე გავლენას? <b>მუს.დაწყ.(II).1, 2;</b>  როგორ შეიძლება საბალეტო ფრაგმენტის მუსიკალური თანხლების ჩაწერა? <b>მუს.დაწყ.(II).3.</b>	
<b>ეთნოგრაფია და მუსიკა</b>		
<b>სხვადასხვა კუთხის მცხოვრები ქართველები და მათი ხასიათი ხალხურ შემოქმედებაში</b>	რით განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური მუსიკა? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7;</b>  როგორ იჩენს თავს ხალხური სიმღერის მელოდიაში კუთხური თავისებურებები? <b>მუს.დაწყ.(II).4,5,6,7.</b>	ინტონაცია, კილო, სხვადასხვა ხალხის ცეკვები.

### **შეფასება**

საგან მუსიკაში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც ავთენტური შეფასების პრინციპებს ემყარება. საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

- 1. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა:** მუსიკალური კომპოზიციის, თანხლების, მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა;
- 2. საკლასო აქტივობებში ჩართულობა;**
- 3. ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაციის მომზადება;**
- 4. იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება:** მოტივის და ცალკეული ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტების შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;
- 5. მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის განხილვა და მათი მუსიკალური ანალოგიების შექმნა;**
- 6. დისკუსია (დებატი).**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №182/ნ- კვებგვერდი, 03.01.2017წ.*